გიორგი მიქაუტაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	4
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	5
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	6
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	8
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	12

2006-2010 წლებში, გიორგი მიქაუტაძე, მუშაობდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორად. 2010 წელს, იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, 2010 წლის ბოლოს კი – ჩაირიცხა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად. 2012 წლიდან დღემდე, არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2016-2017 წლებში, გიორგი მიქაუტაძე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე. 2017 წლიდან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ამავე საბჭოს მდივანი. 2019 წლის 3 ივნისიდან, მოსამართლე მიქაუტაძე გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის უვადო მოსამართლედ.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: 2015 წელს, გიორგი მიქაუტაძემ განიხილა დავა, რომელიც ეხებოდა საჯარო სამსახურიდან პირის უკანონოდ გათავისუფლებას და შრომით ურთიერთობებში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

ფაქტები: მოსარჩელის მტკიცებით, იგი იყო დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციის მსხვერპლი, რაზეც საჯაროდ ისაუბრა. შედეგად, იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენასთან ერთად, მოსარჩელე მოითხოვდა სამსახურიდან გათავისუფლების აქტის ბათილობას, სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას და დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საქმის მნიშვნელობა: მოსარჩელე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც სასამართლოს მიმართა ახლადმიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე დაყრდნობით და ითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, იმ პერიოდში, იმავე დამსაქმებელმა (თბილისის მერიამ), არაერთი საჯარო მოხელე გაათავისუფლა სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით, რასაც ადასტურებდა საქართველოს პრეზიდენტის და უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები.

გადაწყვეტილება:

- სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო დისციპლინური სამართალწარმოება საჯარო მოხელის მიმართ, მის მიერ მედიაში გაკეთებული განცხადების გამო იმის თაობაზე, რომ სამსახურიდან წასვლას აიძულებდნენ. მოქმედი კანონმდებლობით, ასეთი ქმედება შეფასებულია როგორც მამხილებლობა და დაცულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონით. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე, მოსამართლე მიქაუტაძე საერთოდ არ მსჯელობს გადაწყვეტილებაში.
- ასევე, მოსამართლემ უარი თქვა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლაზე და საქმე გადასაწყვეტად იმ ადმინისტრაციულ ორგანოს დაუბრუნა, რომელსაც მოქალაქე უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდა. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა მას შესაძლებლობას აძლევდა თავად გადაეწყვიტა დავა.
- დისკრიმინაციის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლეს არ შეუფასებია არცერთი წარმოდგენილი მტკიცებულება. მოსამართლე მიქაუტაძემ სრულად უგულებელყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მოთხოვნები. მოსამართლემ მიუთითა, რომ **„მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლის გარეშე, ვერ შეაფასებდა, მართლაც განხორციელდა თუ არა დისკრიმინაცია“**.

შენიშვნა: მოგვიანებით, მოცემულ დავაზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველ რიგში, არსებითი იყო სწორედ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ამის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი.

გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: უკანონო შემოწირულობები

ფაქტები: 2012 წელს, საქართველოს კონტროლის პალატამ მიმართა სასამართლოს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების, „ქართული ოცნების“ შემომწირველი 17 პირის დაჯარიმების მოთხოვნით, მათ მიერ განხორციელებული უკანონო შემოწირულობის გამო. ჩვიდმეტივე პირი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი, მათთვის დაკისრებული ჯარიმის საერთო რაოდენობამ კი, 1 202 000 ლარი შეადგინა.

საქმის მნიშვნელობა: დავაში ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო 2 სამართლებრივი საკითხის სწორად გადაწყვეტა: კანონის კონსტიტუციურობის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი, რასაც სამართლის არაერთი ექსპერტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და სადავო ქმედების კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ ქმედებად (შესაბამისად, მტკიცების ტვირთის საკითხიდ გადაწყვეტა).[1]

გადაწყვეტილება:

- სადავო ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, დაცვის მხარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, აცხადებდა, რომ უკანონო შემოწირულობის განხორციელება უნდა განხილულიყო არა როგორც ადმინისტრაციული, არამედ როგორც სისხლისსამართლებრივი ხასიათის ქმედება. შესაბამისად, მოქალაქეებს კი არ უნდა დაკისრებოდათ მტკიცების ტვირთი, რომ მათ ნამდვილად გააჩნდათ შესაბამისი თანხები და განახორციელებდნენ შემოწირულობებს, არამედ სახელმწიფო ორგანოებს უნდა ემტკიცებინათ, რომ მათ ეს თანხები ვერ ექნებოდათ საკუთრებაში. თუმცა, გადაწყვეტილებაში საერთოდ ვერ ვხვდებით მსჯელობას ამ საკითხზე. მეტიც, საქმის მასალების გაცნობის გარეშე, დაინტერესებული მკითხველი გადაწყვეტილებიდან საერთოდ ვერ გაიგებს, რომ დაცვის მხარე ამ საკითხზე დავობდა.
- მოსამართლეს არ გამოუყენებია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა, კანონის კონსტიტუციურობის შესაფასებლად შუამდგომლობით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. ამასთან დაკავშირებით, არანაირი მსჯელობა გადაწყვეტილებაში არ გვხვდება.
- **მოსამართლემ მხოლოდ ერთი დღე მისცა პირებს სასამართლო განხილვისთვის მტკიცებულებების შესაგროვებლად და შესაბამისი არგუმენტაციის ჩამოსაყალიბებლად.** სასამართლო სხდომა რამდენიმე საათი უწყვეტად მიმდინარეობდა, ხოლო სხდომის გადადების და შესვენების გამოცხადების შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა.

[1] **მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მოსამართლემ მოქალაქეები დააჯარიმა, 2012 წლის არჩევნებამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე განხორციელდა კანონმდებლობაში. გავრცელებული მოსაზრებით, ცვლილებების მიზანი ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი გაერთიანებისთვის პრობლემების შექმნა და ოპოზიციის შევიწროვება იყო.**

1

1.2. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება.

მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის მიერ განხილულ არცერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც გუნდმა მოიძია, არ არის მითითება უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ 2 საქმეში პირდაპირ იდგა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის საკითხი.

2019 წლის მაისში, გიორგი მიქაუტაძემ, იუსტიციის საბჭოს წინაშე გასაუბრების დროს განაცხადა „იმ დროს როცა განვიხილე, ვამაყობდი, 73 სამართალდარღვევის საქმე მაქვს 1 დღეში განხილული სამორიგეოები, მაშინ ეს იყო რეკორდი“.[2]

[2] **გასაუბრება გიორგი მიქაუტაძესთან, წუთები 3:41:-4:00, ob. http://bit.ly/2KsBtCi**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. საქმიანობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციაზე

- გიორგი მიქაუტაძის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოში მიმიდინარე ხარვეზიანი პროცესები მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის, უკონკურსოდ დაწინაურების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით.
- გიორგი მიქაუტაძის მდივნობის დროს, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ წინა მდივნის პერიოდში, **განადგურდა საბჭოს სერვერი და წაიშალა საბჭოს სხდომების არაერთი ჩანაწერი.** მედიაში გაკეთებული კომენტარის თანახმად, გიორგი მიქაუტაძეს ამასთან დაკავშირებით რაიმე მოკვლევა არ უწარმოებია.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად **არჩევიდან 7 თვეში**, გიორგი მიქაუტაძის მეუღლე, **მაია კვირიკაშვილი**, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა.[1]

[1] **დახურული გასაუბრების პირობებში, მიქაუტაძე გასაუბრებას არ დასწრებია, თუმცა მონაწილეობას იღებდა კონკურსის სხვა ეტაპებში.**

- მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი, რომლის მიერ განხილულ საქმეში, გიორგი მიქაუტაძეს ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, მალევე უვადოდ დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე ისე, რომ გიორგი მიქაუტაძე მონაწილეობდა მის გასაუბრებაში.[2] თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კრიტიკის შემდეგ, კენჭისყრის ეტაპზე, მან თვითაცილების საკითხი დააყენა.

[2] **იყენებს თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი თანამდებობას ბოროტად? იხ. http://bit.ly/2YffyXw**

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- პროკურატურაში 4-წლიანი მუშაობის შემდეგ (2006-2010), გიორგი მიქაუტაძემ, 3 თვე იმუშავა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად **(ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე)** და ჩაირიცხა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად (2010 წლის დეკემბერი).
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ (2011 წლის დეკემბერი), იგი დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ (2012 წლის იანვარი). 2015 წლის პირველი დეკემბრიდან, იგი ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე (ჩაანაცვლა შოთა გეწაძე), ხოლო 4 თვეში – 2016 წლის 5 მარტიდან სასამართლოს თავმჯდომარე (ჩაანაცვლა მამუკა ახვლედიანი). 2017 წელს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად და ამავე საბჭოს მდივნად.

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- გიორგი მიქაუტაძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები /ჯარიმები, სასამართლო დავები

- მოსამართლე გიორგი მიქაუტაძე ნასამართლევი არ ყოფილა. თუმცა მისი მონაწილეობით ფიქსირდება 2 შემთხვევა:

1. **2016 წლის აგვისტოში,** აჭარაში, დაბა გონიოს სანაპიროზე, მოხდა ინციდენტი მოსამართლე გიორგი მიქაუტაძესა და მოქალაქე თამარ ხაჭაპურიძეს შორის, რომლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეც მოსამართლე მიქაუტაძემ განიხილა ინციდენტამდე 1 წლით ადრე.[1] თამარ ხაჭაპურიძის განცხადებით, მის 13 წლის შვილს მოსამართლემ სცემა. გამოძიება არასრულწლოვნის ცემის მუხლით დაიწყო. გამომძიებლის განცხადებით, მოზარდის ცემის ფაქტზე, დაკითხეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, გიორგი მიქაუტაძე. თუმცა, საქმე არ გამოძიებულა,[2] ხოლო დღეის მდგომარეობით, გამოძიება ხანდაზმულია.
2. **2015 წელს,** მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ, გამოაცხადა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო მხარეთათვის გადაცემულ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში ასახა სულ სხვა დასაბუთება, რაზეც 2015 წელს ზაზა ხატიაშვილმა მიმართა პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 341-ე მუხლით), თუმცა პასუხი არ მიუღია.[3]

- **ადმინისტრაციული სამართალდარღვევები** ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო. CT-Park-ის ვებგვერდზე, მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის კუთვნილ ავტომობილზე ფიქსირდება **1 ჯარიმა**,[4] რომელიც გამოწერილია 2017 წელს პარკირების საფასურის გადახდის გარეშე დგომის გამო. ჯარიმა დღემდე არ არის გადახდილი.[5]
- ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, მოსამართლეს აქვს დაზარალებულის სტატუსი.[6] კერძოდ, ზემოხსენებულ, გონიოს ინციდენტთან დაკავშირებით, პროკურატურამ არასრულწლოვანის ცემის მუხლით დაწყებულ საქმეს კვალიფიკაცია შეუცვალა და გამოძიება გააგრძელა მოსამართლის სიცოცხლის ხელყოფის მუქარის ფაქტზე, რის შედეგადაც, არასრულწლოვანი პირის მშობლები სასამართლომ 4 000 ლარით დააჯარიმა.[7]

---

1 მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის ინციდენტი გონიოს პლაჟზე, იხ. https://bit.ly/2MmGw8u

2 მოსამართლე ბრალდებულის მოწმეების დაკითხვაზე უარს ამბობს – გიორგი მიქაუტაძის საქმე, იხ. https://bit.ly/332X77d

3 ხატიაშვილმა გიორგი მიქაუტაძის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინა, იხ. https://bit.ly/2Znj9Q6

4 ვებგვერდზე მოცემულია მხოლოდ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე არსებული ჯარიმები.

5 http://bit.ly/2LNWMjx

6 მოსამართლე ბრალდებულის მოწმეების დაკითხვაზე უარს ამბობს – გიორგი მიქაუტაძის საქმე, იხ. http://bit.ly/2Zf7xhT

7 გიორგი მიქაუტაძის სიცოცხლის ხელყოფის მუქარაში ბრალდებულები 4 ათასი ლარით დააჯარიმეს, იხ. http://bit.ly/317FiIB

2. პარტიული მიკუთვნებულობა, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან

- გიორგი მიქაუტაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი.
- გიორგი მიქაუტაძე არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი და, ამავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. გიორგი მიქაუტაძე ხელმძღვანელობას უწევს იუსტიციის საბჭოს აპარატს, რომელიც ამუშავებს ინფორმაციას მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ.
- მოსამართლე მიქაუტაძის მიერ წარდგენილ განაცხადში მითითებულია **მხოლოდ 2 რეკომენდატორი, მაშინ როდესაც, კანდიდატი ვალდებულია, მიუთითოს არანაკლებ 3 რეკომენდატორი**. გიორგი მიქაუტაძემ ეს წესი არ დაიცვა, თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატმა, ეს უკანასკნელი, არ ჩათვალა ფორმალური მოთხოვნების დარღვევად.
- კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", წლებია საუბრობს სასამართლოში კლანურ მმართველობაზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 43% ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემაში კლანი არსებობს.[8] სტუდია „მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტში საუბარია კლანის წევრების, მისი ლიდერების და კლანური მმართველობის შესახებ.[9] „კავკასია TV"-ზე გასული სიუჟეტი ასევე მიუთითებს სასამართლოში არსებულ კლანზე.[10] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" გიორგი მიქაუტაძეს მოიაზრებს კლანის ერთ-ერთ გავლენიან წევრად.[11] გიორგი მიქაუტაძის კლანთან კავშირზე ასევე მიუთითებენ იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე.[12]
- გიორგი მიქაუტაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნობის პერიოდში, საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ გამწესებას.
- 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გვერდის ავლით, პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 10 კანდიდატი, რომელთა შორის იყო გიორგი მიქაუტაძე.[13]
- 2018 წლის დეკემბერში, პარლამენტისათვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სიის წარდგენის შემდეგ, მედიაში გავრცელდა გიორგი მიქაუტაძის, ლევან მურუსიძის, მიხეილ ჩინჩალაძის, ვალერიან ცერცვაძისა და ვანო ზარდიაშვილის ერთობლივი ფოტო,[14] რომელიც პარლამენტის შენობასთან სკვერშია გადაღებული. თუმცა, ეს გიორგი მიქაუტაძის ვანო ზარდიაშვილთან და მიხეილ ჩინჩალაძესთან ერთად გამოჩენის პირველი შემთხვევა არ არის. 2017 წელს, გავრცელდა ფოტო,[15] სადაც ისინი არაფორმალურ გარემოში ერთად არიან აღბეჭდილნი.

---

8 „საერთოშორის გამჭვირვალობა საქართველოს" კვლევა, იხ. http://bit.ly/31oJw8A

9 ჩინჩალაძის კლანი – სასამართლო რეფორმის კრახი, იხ. http://bit.ly/2YWYa9D

10 კლანი სასამართლო სისტემაში – არასამთავრობოების სქემა, იხ. http://bit.ly/2Ttes5b

11 კოალიციის მიმართვა საქართველოს პარლამენტს, იხ. https://bit.ly/2Jc8ow5

12 კლანი, გუნდი და უვადო მოსამართლეები, იხ. http://bit.ly/2YdBnHg

13 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატები დაასახელა, იხ. http://bit.ly/2M2HF5S

14 მოსამართლეები პარლამენტთან სკვერში ვანო ზარდიაშვილს ხვდებიან, იხ. http://bit.ly/2Kb7fSW

15 არაფორმალური შეხვედრა უმრავლესობის დეპუტატსა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, იუსტიციის საბჭოს სხდომამდე 1 დღით ადრე, იხ. http://bit.ly/2YrMTKk

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. გიორგი მიქაუტაძის მიერ სოციალურ ქსელებში დაფიქსირებული მოსაზრებები

- მოსამართლე გიორგი მიქაუტაძე პერსონალურად არ იყენებს სოციალურ ქსელებს, თუმცა მას აქვს ოფიციალური გვერდი, სადაც პერიოდულად იდება ინფორმაცია ოფიციალურ შეხვედრებთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. გიორგი მიქაუტაძის საჯარო განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით

2.1. გიორგი მიქაუტაძის საჯარო განცხადებები ლევან მურუსიძის უვადო მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით

2018 წლის 27 დეკემბერს, ლევან მურუსიძის უვადო მოსამართლედ დანიშვნის შემდგომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ განცხადა, რომ ლევან მურუსიძემ, იუსტიციის საბჭოში გამართულ გასაუბრებაზე ყველა კითხვას გასცა პასუხი:

> **მე ვფიქრობ, არ დარჩენილა კითხვა, რომელზეც ლევან მურუსიძეს პასუხი არ გაეცა.... არასდროს არავის ეჭქვეშ არ დაუყენებია ის, რომ ლევან მურუსიძე არის კომპეტენტური მოსამართლე და მას აქვს ძალიან დიდი გამოცდილება სამოსამართლეო საქმიანობის. რაც შეეხება კეთილსინდისიერებას, თუ არ ვცდები, 12-მა წევრმა ჩათვალა, რომ კეთილსინდისიერია ბატონი ლევანი".[1]**

2.2. გიორგი მიქაუტაძის პოზიცია სასამართლოების თავმჯდომარეების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად მოსამართლეების მიერ არჩევასთან დაკავშირებით

2019 წლის 10 მაისს, გიორგი მიქაუტაძემ დაუსაბუთებელი უწოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, რომ სასამართლოებმა საკუთარი თავმჯდომარეები თავად აირჩიონ. მისი განცხადებით:

> **გაურკვეველია ამდაგვარი დაინტერესება ამ საკითხით. ასე არ შეიძლება, სასამართლოს თავმჯდომარე გარკვეული მენეჯერული თვისებებით აღჭურვილი პირი უნდა იყოს. ის უნდა შეარჩიოს კომპეტენტურმა ორგანომ, სწორედ ამ ნიშნით. არ შეიძლება შემთხვევით ვინმე გახდეს სასამართლოს თავმჯდომარე".[2]**

შენიშვნა: „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" შეფასებით, სასამართლოს / პალატების / კოლეგიების თავმჯდომარეების ფართო დისკრეციული უფლებამოსილება და მათი

---

[1] მურუსიძის კომპეტენტურობა არასდროს არავის დაუყენებია ეჭვქვეშ – მიქაუტაძე. 27 დეკემბერი 2018, ნეტგაზეთი, იხ. http://bit.ly/2KFfjvv

[2] გიორგი მიქაუტაძე დაუსაბუთებელს უწოდებს მესამე სექტორისა და ოპოზიციის მოთხოვნას, რომ სასამართლომ თავმჯდომარეები თავად აირჩიოს. 2019 წლის 10 მაისი.

დანიშვნის გაუმჭვირვალე პრაქტიკა, დიდი ხანია სასამართლო სისტემისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ხშირად, სწორედ სასამართლოს თავმჯდომარეები განიხილებიან სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის ინტერესების გამტარებლად კონკრეტულ სასამართლოში.

2.3. გიორგი მიქაუტაძის განცხადებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სიის წარდგენასთან დაკავშირებით

2018 წლის 24 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, კენჭისყრის შედეგად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სია პარლამენტს წარუდგინა. სიის შედგენის პროცესთან დაკავშირებით, გიორგი მიქაუტაძემ შემდეგი განცხადება გააკეთა:

> **მოსამართლე წევრებმა გუნდურად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ვფიქრობ, რომ ესენი არიან კანდიდატები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ნებისმიერ პირობებს".**[3]

2.4. გიორგი მიქაუტაძის კომენტარი წინა ხელისუფლების დროს, სასამართლოს საქმიანობასთან და სასამართლოში განსხვავებული აზრის ნაკლებობასთან დაკავშირებით

მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ, ტელეკომპანია „იმედის" გადაცემა „ქრონიკის" ეთერში განაცხადა, რომ წარსულ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები სრულად გამომდინარეობდა მაშინ მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებიდან.[4]

ჟურნალისტის დამატებით შეკითხვაზე: **„გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებას კანონმდებლობა ხომ არ უშლიდა ხელს, ეს ხომ მოსამართლის შინაგან რწმენაზე იყო დამოკიდებული?"**

გიორგი მიქაუტაძემ უპასუხა: **„სასამართლო სისტემა მე ვიტყოდი, რომ ყველა ეტაპზე წინ მიდის და ვითარდება, რასაც მოწმობს სტატისტიკა. ძალიან დიდი პროგრესია, განსაკუთრებით კი ბოლო წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც სასამართლო სისტემას აქვს ადეკვატური კანონმდებლობა. ამას ვერ უარყოფს ვერავინ".**

ჟურნალისტმა გიორგი მიქაუტაძეს ასევე ჰკითხა, დღეს **სასამართლოში განსხვავებული აზრის ნაკლებობაზე** და მის მიზეზებზე, რაზეც გიორგი მიქაუტაძემ მიუთითა, რომ **„განსხვავებული აზრი სასამართლოს დამოუკიდებლობასთან მიმართებით ვერ ექნება მოსამართლეებს. ეს არის ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულება, რომ სასამართლო დავიცვათ გარე ზეწოლისგან, იქნება ეს პოლიტიკური ხელისუფლებიდან წამოსული მუქრა, თუ არასამთავრობო სექტორიდან წამოსული მუქარა".**

3. გიორგი მიქაუტაძის საჯარო განცხადები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან დაკავშირებით

3.1. გიორგი მიქაუტაძის გამოსვლა მოსამართლეთა XVII კონფერენციაზე, სადაც მან მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ კამპანიაზე ისაუბრა

2016 წელს, მოსამართლეთა XVII კონფერენციაზე, გიორგი მიქაუტაძემ აღნიშნა:

---

[3] გიორგი მიქაუტაძე – უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა სიის შედგენისას საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილება გუნდურად მივიღეთ. პირველი არხი, 2019 წლის 24 დეკემბერი, იხ. http://bit.ly/2ZVUSAR

[4] გიორგი მიქაუტაძე ქრონიკის პირდაპირ ეთერში, იხ. http://bit.ly/2YX9Vcd

„როგორ უნდა ვამჯობინოთ გარედან მოსული ადამიანი სისტემაში გამოცდილ, ნამუშევარ ადამიანს, რომელსაც სამოსამართლო საქმიანობის პერიოდში არანაირი გადაცდომა არ ჰქონია. აჟიოტაჟი ატეხილია იმისთვის, რომ როგორმე დაბრკოლდეს სისტემაში გამოცდილი მოსამართლეების დაბრუნება“.

მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ, სასამართლოში „კლანის“ არსებობასთან დაკავშირებულ ბრალდებებს შემდეგნაირად უპასუხა:

ჩვენ არავის თავს არ ვესხმით, ჩვენ გვესხმიან თავს და გვაქვს უფლება თავი დავიცვათ. დღეს, როგორც არასდროს, მოსამართლეები არიან დამოუკიდებელნი. ბრალდება არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. ამის წინააღმდეგ თუ გავერთიანდებით ჩვენ ნამდვილად კლანი არ უნდა დაგვერქვას“.

3.2 გიორგი მიქაუტაძის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე სასამართლოს მდგომარეობასთან დაკავშირებით

2019 წლის 19 მარტს, გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული დასკვნა, ცრუ ინფორმაციას ეყრდნობა.

მისი შეფასებით,

დასკვნაში პირდაპირ არის მითითებული ის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებენ ანგარიშის ავტორები ამ დასკვნებს და ეს წყარო არის ისევ და ისევ კოალიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე გასაგებია, რომ სასამართლო სისტემის მიმართ გამოთქვამენ ერთსა და იმავე პრეტენზიებს. შემიძლია, კიდევ ერთხელ გავცე პასუხი თითოეულ ბრალდებას, რომელიც წარმოდგენილია. თუნდაც, შემიძლია, მაგალითად მოვიყვანო საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა, რომელზეც ჩვენ არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ყველა მათი პრეტენზია გავაბათილეთ მტკიცებულებებით, რომ ელექტრონული განაწილების პროგრამა მუშაობს ხარვეზების გარეშე და იქ არანაირ ჩარევას ადგილი არ აქვს. თუმცა, ჩვენ მაინც გვესმის მათი მხრიდან ცრუ ფაქტებზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაცია“.[5]

4. გიორგი მიქაუტაძის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას გაცემული პასუხები

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის კითხვაზე: **დილემის შემთხვევაში თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა იგი კანონიერს თუ სამართლიანს, მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ შემდეგი პასუხი გასცა:**

მე უფრო იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, ვინც თვლის, რომ კანონი უნდა იყოს სამართლიანი. როგორც მოსამართლე, თუ დავდგები ფაქტის წინაშე, მივიღო უსამართლო გადაწყვეტილება და კანონიერებით გავამართლო ეს გადაწყვეტილება, ამას არ გავაკეთებ. მოვძებნი რამე საშუალებას, რათა გადავწყვიტო სამართლიანად“. კითხვაზე გამოიკვლევდა და მიიღებდა თუ არა მხედველობაში ბრალდებულის გამამართლებელ მტკიცებულებას თუ მხარე ამას კანონმდებლობით დაშვებული ეტაპის შემდეგ დააყენებს, გიორგი მიქაუტაძემ განმარტა, რომ „დავარღვევ საპროცესო კოდექსის ნორმასაც, შევბრუნდები, გამოვიკვლევ მტკიცებულებას, მივიჩნევ დასაშვებად და გავათავისუფლებ. ამას ცალსახად ვამბობ“.

- **კითხვაზე, თუ რა ურთიერთობა აკავშირებს მას პარლამენტის წევრ ვანო ზარდიაშვილთან, კანდიდატმა უპასუხა, რომ:**

---

[5] გიორგი მიქაუტაძე – აშშ-ს დეპარტამენტის დასკვნა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ცრუ ინფორმაციას ეხება, 2019 წლის 14 მარტი, იხ. http://bit.ly/2ZVUSAR.

ვანო ზარდიაშვილი არის ჩემი დიდი ხნის კარგი მეგობარი და ვხვდები ხოლმე. თქვენ წარმოიდგინეთ, რესტორანშიც შევხვედრივართ. ეს ფაქტი როგორ უნდა შევცვალოთ, ან მე და ვანომ უნდა დავანებოთ მეგობრობას თავი. თქვენ რომელს მთავაზობთ? არ ვაპირებ არც ერთს და არც მეორეს...“

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის კითხვაზე, მოსამართლე ლევან მურუსიძის მსგავსად, მასაც მიაჩნია თუ არა, რომ იგი არის სასამართლო სისტემის ლიდერი, გიორგი მიქაუტაძემ უპასუხა, რომ:

გარკვეულწილად უნდა მიმაჩნდეს კიდევაც და უნდა იყოს ეს ჩემი ვალდებულება. მოსამართლეებს გვაქვს ძალიან მაღალი თმენის ვალდებულება, მოსამართლეები ვერ აჟღერებენ საჯაროდ თავიანთ პოზიციებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ანუ გამოხატვის თავისუფლება ჩვენთვის, მოსამართლეებისათვის არის განსაკუთრებულად შეზღუდული და გვაქვს ეს მომენტები. სპიკერ-მოსამართლე, რომელსაც მეტ-ნკალებად შეუძლია რაღაც განმარტებები გააკეთოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელსაც ირჩევს კონფერენცია და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ვალდებულებაც არის გარკვეულწილად, რომ რაღაც საკითხებზე საერთო ხედვა სასამართლო სისტემის წარმოვადგინო პერიოდულად, როდესაც ეს საჭირო იქნება. მაგრამ ასეთი პარალელების გავლება, მტკიცებულებებისა და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე გინდათ ბატონ ლევანზე (მურუსიძე), გინდათ ბატონ მიშაზე (მიხეილ ჩინჩალაძე) ან სხვა დანარჩენებზე... ჩემი დასაცავი ნამდვილად არაფერი არ სჭირთ ამ ეტაპზე, რომ იყოს საჭირო აუცილებლად დავიცავ, ამასაც გავაკეთებ და გამოვალ, მაგრამ მე ვერ ვხედავ ვერანაირ რეალურ ფაქტს და არგუმენტს იმ ცრუ ბრალდებების მიღმა, რაც მომცემდა იმისი ფიქრის საფუძველს, რომ მე აქტიური მოქმედებები და ვინმეს დაცვა უნდა დავიწყო, ესე ვფიქრობ ნამდვილად და ასე მჯერა, ძალიან კარგად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს“.

- კითხვაზე, ტრანსგენდერ ადამიანებს ოპერაციული ჩარევის გარეშე, უნდა შეეძლოთ თუ არა იურიდიულ დოკუმენტებში სქესის შეცვლა, მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ უპასუხა რომ:

ძალიან რთული საკითხია, ვერ გეტყვით იმას, რომ ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე, ვერც იმას გეტყვით, რომ პრაქტიკაში მქონია ამგვარი შემთხვევა და აქედან გამომდინარე რაიმე სპეციფიკური გამოცდილება მქონდეს. მეც ზუსტად, არსებული მოსაზრებებითა და გადაწყვეტილებებით ვხელმძღვანელობ, რომელიც ჩვენთვის არის ხელმისაწვდომი. ალბათ უნდა ჰქონდეს ადამიანს უფლება, რომ მოიხსენიებოდეს იმ სქესის ადამიანად, რომლითაც მას თავი მიაჩნია. თუმცა, ეს გარემოება თავისთავად ძალიან ბევრ სხვა კითხვებს და პრობლემებს წამოჭრის...“

- კითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის ცვლილებასთან დაკავშირებით და ხომ არ არის აღნიშნული ჩანაწერი დისკრიმინაციული, გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, რომ:

დისკრიმინაციული არ არის, მაგრამ მომავალში აუცილებლად გახდება დამაბრკოლებელი და საკონსტიტუციო ნორმების შეცვლას სხვა სტანდარტი აქვს – იმ შემთხვევაში, თუ გადავწყვეტთ, რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ქორწინების უფლება მივანიჭოთ. ძალიან რთული თემაა, არ მიფიქრია, მაგრამ იცით რაზე ვფიქრობ ყოველთვის? ის, რაც ფაქტობრივად არსებობს, ჯობია, არსებობდეს მოწესრიგებული სახით. თუ ჩვენ მოვლენებს, რომელიც ისედაც არსებობს საზოგადოებაში, ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, დავუპირისპირდებით ხისტი ჩარევებით, როგორიც არის საკანონმდებლო დონეზე უფლებების მინიჭება ან არმინიჭება, ეს ყოველთვის გამოიღებს ცუდ შედეგს და სწორ მიზნამდე არ მიგვიყვანს. ამიტომ, ჯობია, საკანონმდებლო დონეზე იყოს მოწესრიგებული ის ურთიერთობები, რომელსაც ყველა ვაღიარებთ, რომ ისედაც არსებობს“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2019	2016	2015	2014	2014	2004
$ 11 000	$ 10 000	$ 20 000	$ 30 000	$ 34 000	$ 55 000
15 კვ.მ			65.50 კვ.მ	63.20 კვ.მ	247.4 კვ.მ

2. ფინანსები

- მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის მიერ შევსებული დეკლარაციებიდან ირკვევა, რომ 2012-2018 წლებში მას პროფესიული საქმიანობიდან 501 223 ლარი აქვს მიღებული.



- მისი ხელფასი წლიდან წლამდე იზრდებოდა, თუმცა ყველაზე დიდი შემოსავალი 2018 წელს, 90 675 ლარის ოდენობით ფიქსირდება.
- 2018 წელს, 73 514 ლარის შემოსავალი მიიღო ბატონი გიორგი მიქაუტაძის მეუღლემ, მაია კვირიკაშვილმა, რომელიც 2017 წლიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს, მანამდე კი – საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა.

2015 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, ირკვევა რომ, 2014 წლის მანძილზე, მოსამართლე გიორგი მიქაუტაძისა და მისი მეუღლის ერთობლივი შემოსავალი იყო 112 762 ლარი. ამავე წელს, ბატონი გიორგი მიქაუტაძე ყიდულობს უძრავ ქონებას, რომლის ფასიც 64 000 აშშ დოლარია. აღნიშნული 64 000 აშშ დოლარიდან, 25 000 აშშ დოლარის დაფარვა მოხდა ბანკისგან აღებული იპოთეკური სესხით, რომელიც კანდიდატმა მიიღო „ბანკი რესპუბლიკისგან“. თუმცა, კითხვის ნიშანი რჩება იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან შეძლო მან დანარჩენი 40 000 აშშ დოლარის მობილიზება ბინის შესაძენად, როდესაც მოსამართლეს მიღებული ხელფასის გარდა, მისი დანაზოგი, საკრედითო ბარათზე არსებული 28 ლარი იყო.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჭონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს, თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ